სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N№/18–041

ქ. ბათუმი

10 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ შპს **„სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „აუტოტესტ გეორგია"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა იორდანაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე–2 მუხლის, „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „ საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" და საქართველოს ერთიანი ადმინისტრაციის #45 ბრძანების შესაბამისად, შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება ფორდ–ტრანზიტი სახ. ნომერი GNA-064, ტექნიკური შემოწმებისა და სახიფათო და სამედიცინო ტვირთის გზისთვის ვარგისობის ტესტირების მომსახურების **CPV71630000** (შემდგომში – მომსახურება) გაწევა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ავტომანქანის ტექტიკური შემოწმების ღირებულება შეადგენს 60 (სამოცი) ლარს, ხოლო სახიფათო და სამედიცინო ტვირთის გზისთვის ვარგისობის ტესტირების ღირებულებაა 80 (ოთხმოცი) ლარი.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **140** (ასორმოცი) ლარი.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან (არსებობის შემთხვევაში) და მიღება–ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების" დირექტორის მოადგილე ონისიმე ცნობილაძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გასცეს ფირნიში და საჭირო დოკუმენტაცია.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ტესტირების ცენტრში წარადგინოს ტექნიკურად გამართული, უსაფრთხოების შესაბამისად აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

5.5. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 % ოდენობით.

7.2 თუ ვადაგადაცილება ხელშეკრულებით განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების ვადას 10 დღით გადააჭარბებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „სანდასუფთავება“	შპს „აუტოტესტ გეორგია“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. თბილისი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	ცამეტი ასურელი მამის ქ. #128
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 405041119
სს „ლიბერთი ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE14LB0610005734020009	ა/ა GE51TB7683836080100003
შპს „სანდასუფთავება“	შპს „აუტოტესტ გეორგია“
დირექტორი	დირექტორი
დავით დუმბაძე	ვაჟა იორდანაშვილი